## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ, მოსკოვში შესდგა კალენდარული მატჩი ფეხბურთში., ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ლოკომიტივის” და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ტაიმში ანგარიში გახსნეს მოსკოველებმა. თბილისელები ცდილობენ ანგარიშის გაქვითვას, მაგრამ ამაოდ. მათ მიიღეს 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება. ურტყამს გ. ჯეჯელავა, მაგრამ მოსკოველთა მეკარე დავითიანი იღებს ამ ბურთს. თამაში დამთავრდა თბილისელთა დამარცხებით ანგარიშით 2:1.

**“კომუნისტი”, 14 აგვისტო, 1948 წ.**